# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის

# სხდომის ოქმი N74

2025 წელი; 20 მაისი; 11:00 სთ; ქ. თბილისი

თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
მარიამ გელაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **ნინო ზაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი;
4. **გიორგი ნამგალაური** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
5. **თამარ ბერუაშვილი**- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
6. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

**დღის წესრიგი**

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

2. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

4. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, N102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.146, ფართობი - 6 000 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

5. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორიშვილის ქუჩა N13, I გასასვლელი N1; N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.837, საერთო ფართობი - 1 335 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

6. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ზოვრეთის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.12.035.015, ფართობი - 485კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

7. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კონსტანტინე კაპანელის ქუჩა, N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი:

N01.14.16.015.575, ფართობი - 2348 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

8. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N21ა; ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.011.033, ფართობი - 1 442 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

9. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის III ქუჩა, N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.003.152, ფართობი - 4 876 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

10. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.011, ფართობი - 6988 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

11. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, III მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი N48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.034.005, ფართობი - 1023 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

12. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქუჩა N72-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.12.043.016, ფართობი - 466 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

13. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.054, ფართობი - 1 617 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

14. „ქალაქ თბილისში, გლდანის III მკ.რ-ის მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.301) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
16. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N 50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
18. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
19. “ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ N01.11.12.019.203 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 11 350 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „მილენიუმისთვის“ (ს/ნ 400265208), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
20. „ქალაქ თბილისში, უცნობ გმირთა ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.229) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

21. ,,ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მრევლიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.165) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

22. ,,ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031.01.026) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

23. ,,ქალაქ თბილისში, მთისძირის ქუჩა N101-ის მიმდებარედ არსებული 39.96 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.004.034.01.500) და 4.14 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.004.033.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

24. ,,ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N73 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006.01.564) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

26. ,,ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

27. „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. N5ა-ში არსებული N1 ბინის, N8 ბინის, N10 ბინის (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.300.03.03.510; N01.14.15.001.300.03.03.506; N01.14.15.001.300.03.03.010) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

28. „ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N162 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.162) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

29. ,,ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N5-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

30. „ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი N7-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.084) პირდაპირი განკარგვის წესით, გელა გოცირიძისთვის (პ/ნ: 01012026939) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

31. „ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N10-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.014.018) პირდაპირი განკარგვის წესით, თეკლე ცხვედიანისთვის (პ/ნ: 01024051352) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

32. „ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ. N3-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.003.029) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზიარ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 206152688) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

33. „ქ. თბილისში, მუხრანის ქუჩა N1/ქ.თბილისში, ჩარგლის ქუჩა N37-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.09.001.011) პირდაპირი განკარგვის წესით, ეთერ ჩორგოლიანისთვის (პ/ნ: 01002006282) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

34. „ქ. თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.019) 32 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ინგა ხელაიასთვის (პ/ნ: 62007014706) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

35. „ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N1-ში არსებული 25 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.062.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „საჩინოსთვის“ (ს/ნ: 204380776) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

36. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - რევაზ სოხაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

38. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.**

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრების მიერ დამტკიცებული იქნა სხდომის დღის წესრიგი.**

მოისმინეს:

1. **გაიოზ თალაკვაძემ** - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით**; კერძოდ,** იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები - 8 799,0 ათასი ლარით და მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 15 000,0 ათასი ლარით, ხოლო მცირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 10 000,0 ათასი ლარით. **შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ 13 799,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 209 347,5 ათას ლარს.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** ასევე, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები; ხოლო აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

**იზრდება** გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) ქვეპროგრამის ასიგნებები - 200,0 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 14 500,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) – 1 300,0 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 250,0 ათასი ლარით, უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) – 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 400,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 150,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 17 100,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) ქვეპროგრამის ასიგნებები – 100,0 ათასი ლარით, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 700,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 100,0 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) –

300,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 500,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 100,0 ათასი ლარით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05) – 100,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) – 500,0 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 427,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 300,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ასიგნებები – 400,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 2 500,0 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 1 578,8 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 400,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 150,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) – 50,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 4 000,0 ათასი ლარით.

**მცირდება** გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 21 800,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 25,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 900,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 10 756,8 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები – 25,0 ათასი ლარით.

**გაიოზ თალაკვაძის მითითებით,** წარმოდგენილ პროექტში ასახულია **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 აპრილის N25.642.719 განკარგულების ნაწილი,** რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის - ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალში პროგრამას - საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება, მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) სახელწოდება შეეცვალა და განაწილდა შემდეგ ქვეპროგრამებად: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01 01) და სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა (კოდი 02 01 02), ხოლო პრიორიტეტის - ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების ჩამონათვალში პროგრამა - მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) განაწილდა შემდეგ ქვეპროგრამებად: მერიის ადმინისტრაციის ხარჯები (კოდი 10 02 01) და საოფისე ადმინისტრაციული შენობისა და მონაცემთა დამუშავების ცენტრის პროექტირება - მშენებლობა (კოდი 10 02 02) **(ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 2025 წლის 15 აპრილის N91 სხდომის ოქმი).**

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო(კოდი 10 21) - პროგრამის ფარგლებში, **გაიზარდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 9 ერთეულით, ხოლო მუნიციპალური ინსპექციის (კოდი 10 07) მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 2 ერთეულით** („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N54-31 დადგენილება). **შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 7 ერთეულით და განისაზღვრა 4970 ერთეულით.**

**მოხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 997 577,0 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 211 770,6 ათასი ლარით. ამასთანავე, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 917 577,0 ლარით, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 209 347,5 ათასი ლარით, აგრეთვე, ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 44 455,3 ათას ლარს, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 167 315,3 ათასი ლარით. მომხსენებელმა აქვე დამატებით აღნიშნა,** რომ დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია** დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულაში სწორად მიეთითოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილების გამოქვეყნების თარიღი, ასევე სწორად ჩამოყალიბდეს დადგენილების პროექტის მუხლობრივი ნუმერაცია და „მუხლი 3"-ის ნაცვლად, მიეთითოს „მუხლი 2". აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

**დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**2. ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-2 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილების პირველი მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების ახლებური რედაქციით ჩამოყალიბებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსწავლეებისა და დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანას.

**ნინო ბაგაშვილის განმარტებით,** სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი განცხადებებით მიმართა „შპს იუჯი სკოლის" დირექტორმა მანანა სანაძემ, რომელთა მიხედვით დგინდება, რომ „შპს იუჯი სკოლა" არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მოსწავლეების სპეციალურ რეგულარულ გადაყვანას (06:00 საათიდან 09:00 საათამდე - 160 მოსწავლე; 16:00 საათიდან 18:00 საათამდე - 120 მოსწავლე). შესაბამისად **მოსწავლეთა მომსახურების, კომფორტული და უსაფრთხო სამგზავრო გადაყვანის მიზნით საჭიროა განხორციელდეს მათი სპეციალური რეგულარული გადაყვანა, მათ შორის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE"), M3 კატეგორიის 6 ერთეული ავტობუსით და M2 კატეგორიის 2 ერთეული ავტობუსით, თანდართული მარშრუტებით.** მითითებული განცხადებებით **წარმოდგენილი იქნა ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.**

**მომხსენებლისვე მითითებით,** სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2025 წლის 20 თებერვალს შევიდა შპს „ავერსი-ფარმას" დირექტორის გიორგი მელანაშვილის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) დამტკიცებულ მარშრუტებში ცვლილებების შეტანა; **კერძოდ, დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილია დამატებით ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე მარშრუტის დამტკიცება.** ზემოაღნიშნული მიზნით, დამსაქმებლის მიერ ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც ნინო ბაგაშვილმა განმარტა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 მარტის №25.463.533 განკარგულების პირველი და მეორე პუნქტებით დადგინდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტები, ასევე საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტები, სათანადო დანართების შესაბამისად, ხოლო განკარგულების მე-3

პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარედგინა „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** დადგენილების პროექტის პირველი მუხლის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

**დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**3. ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-3 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2024 წლის 29 მარტის №86** განკარგულებაში ცვლილების შეტანას.

**მომხსენებელმა ისაუბრა იმ ცვლილებებზე**, რომელიც აღნიშნული განკარგულების პროექტით იქნა გათალისწინებული, კერძოდ: ცვლილება შედის 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულების პირველ პუნქტში, კერძოდ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების ვადები იცვლება **2023 წლის პირველი ივლისიდან 2025 წლის პირველ ოქტომბრამდე.**

**ნინო ბაგაშვილმა განმარტა,** რომ ცლილება ეხება პირებს, რომელთა მიმართაც 2023 წლის პირველი ივლისიდან 2025 წლის პირველ ოქტომბრამდე შედგენილია/შედგენილი იქნება

ელექტრონული საჯარიმო ქვითრები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის და ამ ელექტრონული საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და ჯარიმის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი გადახდილი აქვთ/ექნებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სახაზინო კოდზე, ამასთან, ფიქსირდება/დაფიქსირდება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), თუმცა არ აქვთ/ექნებათ მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, ჩაეთვალოთ გადახდილად და მათ მიმართ აღარ განხორციელდეს/აღარ გაგრძელდეს გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

გადაწყვიტეს:

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**4. ნინო ზაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-4 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, N102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 6 000 კვ.მ ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.1-მდე,** რაც გულისხმობს 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**ნინო ზაგაშვილის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ 6).**

**მომხსენებელმა მიუთითა ასევე,** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის მიხედვით, **საპროექტო**

**მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 25 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 7 827 141 ლარს.** ხოლო, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 7 აპრილის წერილის შესაბამისად, **კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.1-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1 878 513.84 ლარს.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ** ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. **ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-5 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით,** ქალაქ თბილისში, ბოჭორიშვილის ქუჩა N13, I გასასვლელი N1; N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1 335 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=4.7-მდე,** რაც გულისხმობს **2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატებას.** ასევე, დაინტერესებული

პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**ნინო ბაგაშვილის განმარტებით,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 თებერვლის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა **1 (სსზ-1)-ის პარამეტრებით.**

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 599 330.00 ლარს**, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის **2025 წლის 19 მარტის წერილის თანახმად,** საპროექტო მიწის ნაკვეთზე **კ-2=3.5-დან კ-2=4.7-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 548 341.72 ლარს.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ** ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**6. ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-6 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისში, ზოვრეთის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 485კვ.მ)

მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს 3 (სამი) სართულის დამატებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა,** რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).**

**მომხსენებლის განმარტებით,** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება **2025 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 689 700 ლარს,** ხოლო ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 24 აპრილის წერილის შესაბამისად, **კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 3.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 689 700.00 ლარს.**

**ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ** ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**7. ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-7 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით,** მისამართზე- ქალაქი თბილისი, კონსტანტინე კაპანელის ქუჩა, N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 2348 კვ.მ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს 1 (ერთი) სართულის დამატებას. ნინო ბაგაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ** დაინტერესებული პირის მიერ ასევე მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**მომხსენებლის განმარტებით,** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება **2025 წლის 22 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 3 035 964 ლარს.**

**ნინო ბაგაშვილმა დამატებით აღნიშნა,** რომ ეკონომიკის განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 25 აპრილის წერილის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 607 192.80 ლარს.**

**ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ** ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**8. ნინო ზაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-8 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N21ა; ქალაქი თბილისი, ილია **ჭავჭავაძის გამზირი, N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1 442 კვ.მ) მიმართებით,** გასატარებელი ღონისძიებების საკითხის **შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის **კ-2 ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.2-დან კ-2=6.4-მდე;** ასევე, **დამატებით აღინიშნა,** რომ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**ნინო ზაგაშვილის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის **2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).**

ამასთანავე, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 მაისის ბრძანებით** საპროექტო მიწის ნაკვეთზე **გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით.**

**მომხსენებლისვე მითითებით,** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად საპროექტო მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება **2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 10 092 558 ლარს**, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის **2025 წლის 8 აპრილის** წერილის შესაბამისად, **კ-2 კოეფიციენტის 4.2-დან 6.4-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 5 286 578.00 ლარს.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, **ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ** ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**9. ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-9 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე, ქალაქი თბილისი, ნადიკვარის III ქუჩა, N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 4 876 კვ. მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის **შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

**როგორც ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის **კ-2 ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=1.7-მდე, რაც გულისხმობს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებულ მესამე შენობაზე 1 (ერთი) სართულის დამატებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**ნინო ბაგაშვილის განმარტებით,** „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით** დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება **საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).**

**მომხსენებლისვე მითითებით,** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება **2025 წლის 21 მარტის მდგომარეობით, შეადგენს 4 545 236 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 17 აპრილის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 1.7-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 606 031.47 ლარს.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ** ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**10. ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-10 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 6988 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის **შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება **კ-2=2.5-დან კ-2=3.5-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე, ,,ა'' ბლოკზე - 6 (ექვსი) და ,,ბ" ბლოკზე - 4 (ოთხი) მიწისზედა სართულების დამატებასა და 18 (თვრამეტი) სართულიანი და 16 (თექვსმეტი) სართულიანი შენობების განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.**

**ნინო ბაგაშვილის განმარტებით,** „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება **საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).**

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება **2025 წლის 12 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 5 691 726 ლარს,** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 1 აპრილის წერილის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე **კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.5-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 2 276 690.40 ლარს.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, **ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

ნინო ვარდოსანიძემ რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 7 მაისის განკარგულების სათაური, ასევე ისაუბრა აღნიშნული განკარგულების მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**11. ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-11 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, III მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი N48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ფართობი - 1023 კვ.მ ნაკვეთთან (ფართობი - 1023 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის **შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება **კ-2=2.1-დან კ-2=2.6-მდე, რაც გულისხმობს 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 7 (შვიდი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.**

**მომხსენებლის განმარტებით,** „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება **საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).**

**მომხსენებელმა ისაუბრა მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებაზე და აღნიშნა,** რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო **2025 წლის 4 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 745 767.00 ლარს**, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 1 მაისის წერილის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე **კ-2 კოეფიციენტის 2.1-დან 2.6-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 177 563.58 ლარს.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**12. ნინო ზაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-12 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე ქალაქი თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქუჩა N72-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 466 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის **შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

**მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება მოხდება **კ-2=2.5-დან კ-2=3.4-მდე, რაც გულისხმობს 1 (ერთი) და ნახევარი სართულის დამატებას და 7 (შვიდ) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას.**

**ასევე, ნინო ზაგაშვილის განმარტებით,** დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

**ნინო ზაგაშვილმა აღნიშნა,** რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2019 წლის 15 მარტის N39-18** დადგენილების მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება **საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).**

**მომხსნებელმა ასევე აღნიშნა,** რომ **2019 წლის 6 აგვისტოს** ბრძანებით (ცვლილება შევიდა **2024 წლის 10 სექტემბრის** ბრძანებით) **გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით.**

**მომხსენებელმა ისაუბრა მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებაზე და აღნიშნა,** რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ფასი **2025 წლის 6 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 101 168 ლარს**, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის **2025 წლის 6 მაისის** წერილის თანახმად, ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის **2.5-დან 3.4-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 396 420.48 ლარს.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა ისაუბრა, რომ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 7 მაისის განკარგულების სათაური, ასევე ისაუბრა აღნიშნული განკარგულების მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**13. ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-13 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1 617 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის **შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,** სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული

პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიებების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება **კ-2=2.1-დან კ-2=2.6-მდე, რაც გულისხმობს 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 7 (შვიდი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას. მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.**

**ნინო ბაგაშვილის მიერ აღინიშნა,** რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება **საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).**

**მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N195 განკარგულებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე, თანხმობა მიეცა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების (კ-2=3.5-დან კ-2=6.5-მდე) საკითხს, თუმცა დაინტერესებულმა პირმა (ექვსი) 6 თვის ვადაში ვერ უზრუნველყო ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდა.

**ნინო ბაგაშვილის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის **2024 წლის 13 ივნისის ბრძანებით გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით.**

**მომხსენებელმა ისაუბრა მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებაზე და აღნიშნა,** რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ფასი **2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 595 979 ლარს**, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის **2025 წლის 13 მაისის** წერილის თანახმად კი, **კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 6.5-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1 367 982.00 ლარს.**

**მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა ისაუბრა,** რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

**ნინო ვარდოსანიძემ** ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილუ ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**14. ნინო ბაგაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-14 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გლდანის III მ.კ.რ-ის მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხთა გასატარებელი ღონისძიებების საკითხის **შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 30 აპრილის განცხადებით მიმართა დაინტერესებულმა პირმა და მოითხოვა ქალაქ თბილისში, გლდანის III მ.კ.რ-ის მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარება **16 056 კვ.მ. ფართობზე.**

**ნინო ბაგაშვილმა განმარტა,** რომ ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ- 6).**

**მომხსენებელის მიერ ასევე განიმარტა, რომ** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, დედაქალაქის ქალაქგანვითარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით და განაშენიანების რეგულირების წესების მესამე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება სავალდებულოა, როდესაც

ხორციელდება 7000 მ2 (0.7 ჰა) და მეტი ფართობის მქონე ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენება;

**ნინო ბაგაშვილის მიერ დამატების სახით აღინიშნა,** რომ წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტით კი ხორციელდება 7000 მ2 (0.7 ჰა) და მეტი ფართობის მქონე ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენება, თუმცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ითვალისწინებს კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების დროულად დაკმაყოფილების მნიშვნელობას, ასევე, იმ გარემოებებს, რომ ტერიტორია ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით აკმაყოფილებს განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლით დადგენილ მიზნებს, იგი უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

**ნინო ბაგაშვილმა მოსენების მიწურულს ისაუბრა** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2025 წლის 14 მაისის** განკარგულებაზე, რომლის თანახმად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია,** ქალაქ თბილისში, გლდანის III მ.კ.რ-ის მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის **საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.**

**აზრი გამოთქვეს:**

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებისა და მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**15. გიორგი ნამგალაურმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-15 საკითხად განსაზღვრული, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-6 დადგენილებით

დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულებაში“ (შემდგომში - „დებულება“) ცვლილების განხორციელებას.

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა**, დებულებაში შემდეგი სახის ცვლილებები განხორციელდება:

**მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:**

„გ) თბილისის მერიის, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და თბილისის მთავრობის დავალებით, თბილისის რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში;“;

**ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:**

„დ) თბილისის მერიის, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა (კომპეტენციის ფარგლებში) და თბილისის მთავრობის დავალებით, თბილისის რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში;“

**მომხსენებლის განმარტებით,** ცვლილება ასევე შეეხო **მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ქვეპუნქტს** და აღნიშნული ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ სამსახურის უფროსის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე თბილისის მერიისა და თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის, აგრეთვე, თბილისის მთავრობის დავალების შემთხვევაში, თბილისის რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში;“.

**გიორგი ნამგალაურის თქმით,** აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოებში - რაიონის გამგეობებში არსებული საქმის, მათ შორის, მიმდინარე სასამართლო დავების, სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის პროცესის უწყვეტობისა და დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სასამართლოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების დავებზე წარმომადგენლობის ფუნქცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდულ საქალაქო სამსახურს.

**მოხსენების მიწურულს გიორგი ნამგალაურმა აღნიშნა,** რომ წარმოდგენილი დადგენილების მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას; ასევე, დადგენილების მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

**გადაწყვიტეს:**

**დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**16. თამარ ბერუაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-16 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილების პირველი მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დამტკიცებულ „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესსა“ და „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობებების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ ცვლილებების განხორციელებას.

**მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ რედაქციული ხასიათის ცვლილებები განიცადა და ახლებურად ჩამოყალიბდება ზემოაღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (შემდგომში - „წესი“) მე-3 მუხლი („ქვეპროგრამაში ჩართვა“).

კერძოდ, წესის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, აღნიშნული ქვეპროგრამის მოსარგებლეებისათვის, ფულადი დახმარების გაცემა ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული, ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული თვეების წინა თვის მდგომარეობის ამსახველ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის (შემდგომში - „შშმ პირი“) რეგისტრაციის საფუძველზე. ამასთან, კუთვნილი თვეების ფულადი დახმარება ასევე გაიცემა წლის განმავლობაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, თუ პირი რეგისტრირებული იქნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და განცხადებას თან დაერთვება 18 წლამდე ასაკის შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**თამარ ბერუაშვილის განმარტებით,** სიახლეს წარმოადგენს წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების

სააგენტოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის (შემდგომში - „სამსახური“) წვდომის უფლება, ელექტრონული სახით. კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, გაჩნდება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილი იქნება შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის ვერიფიკაციის ან აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შშმ პირის სტატუსის იდენტიფიკაციისთვის, ისარგებლოს წვდომის უფლებით სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრით“ გათვალისწინებულ მონაცემებზე, ელექტრონული სახით. აღნიშნული ჩანაწერის გაჩენა განპირობებულია იმ გარემოებებით, რომ ხშირად ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველ შშმ პირთა (მათ წარმომადგენელთა) მიერ, ვერ ხერხდება სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, ან წარმოდგენილი დოკუმენტი არასრულია, შესაბამისად, ქვეპროგრამის განმახორციელებელი ვერ ადგენს აკმაყოფილებს თუ არა პირი, ქვეპროგრამაში ჩართვის ყველა აუცილებელ კრიტერიუმს. სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრი“ მოიცავს ინფორმაციას შშმ პირთა სტატუსის თაობაზეც, რაც სამსახურს შესაძლებლობას მისცემს, სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის ვერიფიკაციის ან აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ისარგებლოს წვდომის უფლებით, ელექტრონულად აწყობილი მოდულის საშუალებით.

**მომხსენებელმა ასევე დამატების სახით აღნიშნა,** რომ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ქვეპროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარების მიმღებად განისაზღვრება პირი, რომელიც „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაფიქსირებულია როგორც „ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი“. ხოლო მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დახმარება მაისსა და დეკემბერში გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ გადარიცხვის მომენტისათვის ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის მომსახურე ბანკის მიერ მოწოდებულ მონაცემებში, ფიქსირდება ინფორმაცია დახმარების მიმღები პირის სახელზე არსებული აქტიური საბანკო ანგარიშის შესახებ. ასეთის არარსებობის შემთხვევაში დახმარება გაიცემა მომსახურე ბანკიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღების თვეში. წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, 2024 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება შესაძლებელია გაიცეს 2024 წელს მოქმედი წესის შესაბამისად, 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში იმ პირთათვის, რომლებმაც განცხადება წარმოადგინეს 2024 წლის 10 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ასევე იმ მოსარგებლეებისათვის რომლებზეც საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ ინფორმაცია მომსახურე ბანკიდან მიღებული იქნა 2025 წლის 10 მარტამდე.

**თამარ ბერუაშვილმა აქვე დასძინა, რომ სტილისტური და რედაქციული ხასიათის ცვლილებები განიცადა და ახლებურად ჩამოყალიბდება ზემოაღნიშნული დადგენილების „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ (კოდი: 06 02 24) ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (შემდგომში - „წესი“) მე-3 მუხლი („ქვეპროგრამაში ჩართვა“).**

**მომხსენებლის განმარტებით,** მოცემულ შემთხვევაშიც, სიახლეს წარმოადგენს წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრზე" სამსახურის წვდომის უფლება, ელექტრონული სახით, **რომელიც მოიცავს ინფორმაციას პირისთვის მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირის სტატუსის მინიჭების თაობაზეც.**

**მომხსენებლისვე მითითებით,** წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფულადი დახმარება გადაირიცხება მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირის პირად საბანკო ანგარიშზე. ხოლო, მე-5 პუნქტის მიხედვით დახმარება, მაისში, აგვისტოსა და დეკემბერში, გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ გადარიცხვის მომენტისათვის ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის მომსახურე ბანკის მიერ მოწოდებულ მონაცემებში ფიქსირდება ინფორმაცია დახმარების მიმღები პირის სახელზე არსებული აქტიური საბანკო ანგარიშის შესახებ. ასეთის არარსებობის შემთხვევაში დახმარება გაიცემა მომსახურე ბანკიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღების თვეში. ამასთანავე, წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, 2024 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება შესაძლებელია გაიცეს 2024 წელს მოქმედი წესის შესაბამისად, 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში იმ პირთათვის, რომლებმაც განცხადება წარმოადგინეს 2024 წლის 10 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ასევე იმ მოსარგებლეებისათვის რომლებზეც საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ ინფორმაცია მომსახურე ბანკიდან მიღებული იქნა 2025 წლის 10 მარტამდე.

**მოხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა აღნიშნა,** რომ **წარმოდგენილი ცვლილების მიზანია, ზემოაღნიშნულ ქვეპროგრამებში მოსარგებლეთა ჩართვის პროცესი გახდეს მეტად მარტივი და მოსახერხებელი.** კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თავად ვერ უზრუნველყოფს შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის წარდგენას, სამსახური ქმნის აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომის ალტერნატიულ შესაძლებლობას, რათა დოკუმენტის წარუდგენლობა არ გახდეს ქვეპროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის საფუძველი და მოქალაქემ შეძლოს მისთვის განკუთვნილი დახმარებით სარგებლობა.

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან, ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე. აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, **დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

**აზრი გამოთქვეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების

პროექტში გასწორდეს რედაქციული ხასიათის შეცდომა, რაც გაზიარებული იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**17. თამარ ბერუაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-17 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილებით დამტკიცებულ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესში" ცვლილების შეტანას.**

**მომხსენებელმა ცვლილებებზე საუბარი დაიწყო ზემოაღნიშნული წესის მე-3 მუხლიდან და აღნიშნა,** რომ „ტერმინთა განმარტებიდან" ამოღებული იქნება „ვ" ქვეპუნქტი, ვინაიდან, არ არსებობს საჭიროება განმარტებულ იქნეს „მომსახურების მიმღები" პირის ცნება დამოუკიდებლად, ამასთან, აღნიშნული იწვევს წესის გადატვირთვას ზედმეტი ტერმინებით. წესის მე-3 მუხლის „თ" ქვეპუნქტი უკვე ადგენს „მოსარგებლის" ცნებას წესის მიზნებისთვის, რაც განიმარტებოდა როგორც „პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიმღები პირი", თუმცა, ცვლილების შედეგად, აღნიშნული დეფინიცია უფრო ვრცლად და ამომწურავად ჩამოყალიბდება და „მოსარგებლედ" განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული), 18 წლის და უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების ფორმისა და დასკვნის საფუძველზე დაუდგინდა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი.

**თამარ ბერუაშვილმა ასევე დამატების სახით აღნიშნა,** რომ ზემოხსენებული ტერმინოლოგიური ცვლილების გათვალისწინებით, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, ქვეპროგრამის ამოცანაა ამ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სახელმწიფოსგან დელეგირებული

უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, მოსარგებლეთათვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

**მომხსენებელმა ისაუბრა ასევე ზემოაღნიშნულ წესში განხორციელებულ სიახლეზე, კერძოდ,** სიახლეს წარმოადგენს წესის მე-6 მუხლის 1¹ პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს ექნება ელექტრონული წვდომის უფლება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრზე“. კერძოდ, გაჩნდება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის (შემდგომში - „შშმ პირი“) სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის ვერიფიკაციის ან აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შშმ პირის სტატუსის იდენტიფიკაციისთვის, ისარგებლოს ელექტრონული წვდომის უფლებით სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრით“ გათვალისწინებულ მონაცემებზე. აღნიშნული ჩანაწერის გაჩენა განპირობებულია იმ გარემოებებით, რომ ხშირად ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველ შშმ პირთა (მათ წარმომადგენელთა) მიერ, ვერ ხერხდება სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, ან წარმოდგენილი დოკუმენტი არასრულია, შესაბამისად, ქვეპროგრამის განმახორციელებელი ვერ ადგენს აკმაყოფილებს თუ არა პირი, ქვეპროგრამაში ჩართვის ყველა აუცილებელ კრიტერიუმს. სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრი“ მოიცავს ინფორმაციას შშმ პირთა სტატუსის თაობაზეც, სამსახურს კი მიეცემა შესაძლებლობა სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის ვერიფიკაციის ან აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ისარგებლოს წვდომის უფლებით, ელექტრონულად შექმნილი მოდულის საშუალებით.

**მომხსენებლისვე მითითებით,** რედაქციული ხასიათის ცვლილება შედის წესის მე-7 მუხლშიც, რაც განპირობებულია წესიდან ტერმინ „მომსახურების მიმღების“ ამოღებით და მის ნაცვლად „მოსარგებლის“ დამკვიდრებით. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, შეტყობინების მიღების შემდეგ, მოსარგებლემ უნდა მიმართოს მიმწოდებელს, პერსონალური ასისტენტის შერჩევისა და პირობების შეთანხმების მიზნით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №01-13/ნ ბრძანების შესაბამისად. ამასთან, სამმხრივი ხელშეკრულების მხარეებად განისაზღვრება მიმწოდებელი, პერსონალური ასისტენტი და მოსარგებლე.

**მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ ცვლილება შედის წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტშიც, ტერმინი „მომსახურების მიმღები" მოცემულ შემთხვევაშიც ჩანაცვლდება - „მოსარგებლით". შესაბამისად, მომსახურების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი იქნება მოსარგებლის რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, როდესაც ახალი რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი სცილდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიას.

**მოხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა აღნიშნა,** რომ წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, წესში მოცემულ ტერმინთა სრულყოფილად ჩამოყალიბება, ქვეპროგრამის განმახორციელებლისთვის ახალი შესაძლებლობის შემოტანა, კერძოდ, შშმ პირის სტატუსის გადამოწმების ალტერნატიული გზის დანერგვა, რაც მეტად მოსახერხებელს გახდის ქვეპროგრამაში ჩართვისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის შეგროვებისა და დამუშავების პროცესს, როგორც მომსახურების მაძიებელთათვის, ისე ქვეპროგრამის განმახორციელებლისთვის. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან, ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე. აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

**დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-18 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

**მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში. **კერძოდ, მითითებული დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების**

**აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის 22-ე მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:**

„იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის (ან მის მიერ განსაზღვრული სხვა პირებისათვის) საცხოვრებელი ფართების საკუთრების უფლებით გადაცემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, მყიდველის სასარგებლოდ უარი თქვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი ქონების ნაწილის საკუთრებაში მიღებაზე, მყიდველის მიერ, საკუთარი ხარჯით, დარჩენილი გადასაცემი ფართის შესაბამისი ბინა-ერთეულების რემონტის (მათ შორის, ბინაში/ფართში შეყვანილი ცენტრალური კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გაზი) დგარები მრიცხველის მონტაჟის ჩათვლით) უზრუნველყოფის მიზნით, რა შემთხვევაშიც. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მყიდველისთვის გადაცემული ქონების საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მყიდველის მიერ განსახორციელებელი რემონტის საერთო ღირებულებას. ამ პუნქტის მიზნებისთვის, მყიდველისათვის გადაცემული ქონების ღირებულება განისაზღვრება არანაკლებ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული წესით მომზადებული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით დადგენილი საბაზრო ფასით, ხოლო რემონტის ღირებულება და სტანდარტი დადგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.“

**სერგო ბირკაძის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ახორციელებს არაერთ სოციალურ პროექტს, სადაც მუნიციპალიტეტს ნაკისრი აქვს გადასაცემი ფართისთვის საჭიროების შემთხვევაში რემონტის ჩატარების ვალდებულება. ზემოაღნიშნული უფლებამოსილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს აძლევს ფართო შესაძლებლობას, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს თავისივე ქონების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების გზით და ამასთან, აღნიშნული უფლებამოსილების გაწერა დადგენილებაში, ხელს შეუწყობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი სხვადასხვა სოციალური პროექტის ეფექტურად წარმართვას.

**მომხსენებელმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ **პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან. ასევე, პროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.** წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების შემთხვევაში, **დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

**გადაწყვიტეს:**

**დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**19. სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-19 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 11 350 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „მილენიუმისთვის“ პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

**მომხსენებლის განმარტებით,** „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის (შემდგომში - „კოოპერატივის წევრები“) განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლო გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით 2024 წლის 20 სექტემბრიდან 2024 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით, გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა (შემდგომში - **„ინტერესთა გამოხატვა“**), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 11 350 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა.

**მომხსენებლისვე მითითებით,** აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განაცხადების წარდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტოში წარდგენილ იქნა 3 (სამი) დაინტერესებული პირის - შპს "მილენიუმის" 2024 წლის 18 ოქტომბრის; შპს „ჯეო ვაინსის“ 2024 წლის 21 ოქტომბრის და შპს „დი ვიჯენ გრუპის“ 2024 წლის 21 ოქტომბრის - განცხადება.

აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მილენიუმი", რომელმაც დააკმაყოფილა მითითებული ინტერესთა გამოხატვით განსაზღვრული ყველა აუცილებელი პირობა, მათ შორის წარმოადგინა ამავე ინტერესთა გამოხატვის 3.2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია სრულად. ამასთან, შპს „მილენიუმის" მიერ წარმოდგენილი სამშენებლო ფართის შეთავაზება - სააგენტოსთვის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ისათვის/ **კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართი** (თეთრი კარკასის მდგომარეობით) **შეადგენს 6 750 კვ. მ-ს**.

**სერგო ბირკაძის განმარტებით,** სსიპ – ქონების მართვის სააგენტომ კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების პროცესში უნდა იხელმძღვანელოს ორი კრიტერიუმით, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განსაზღვრული სარეიტინგო ქულით (შემდგომში - „სარეიტინგო ქულა") ან/და ტერიტორიულობის პრინციპით. სარეიტინგო ქულის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე პირს, ტერიტორიულობის პრინციპი კი გულისხმობს იმას, რომ უპირატესობა ენიჭება პირს, რომელსაც უნდა აშენებოდა კოოპერატიული საცხოვრებელი ბინა იმავე რაიონში, სადაც, კონკრეტული პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი მოიაზრებს დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილებას. ამავე განკარგულების მე-3 პუნქტი ასევე ადგენს გამონაკლისს და განსაზღვრავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, დაზარალებულ პირთა რიგითობა განსაზღვროს ამ ორი კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშე.

**მომხსენებლის მიერ ხაზი გაესვა იმ გარემოებას,** რომ დღეის მდგომარეობით, სააგენტოში ამოიწურა იმ კოოპერატივის წევრთა სია, ვისაც სააგენტოსთვის მიმართული აქვს, თანახმაა შეთავაზებული პროექტებიდან დაკმაყოფილებაზე და სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად, წარდგენილი აქვს სარეიტინგო ქულის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი. შესაბამისად, მოცემულ პროექტში, პირთა ნაწილი შერჩეულ იქნა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით. მას შემდეგ, რაც, ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით ამოიწურა სრულყოფილი დოკუმენტაციის მქონე კოოპერატივის წევრთა რაოდენობა, გადასაცემი ფართის სრულად ათვისების მიზნით, სააგენტომ გაითვალისწინა კოოპერატივის ის წევრები, რომლებსაც სიის ფორმირების ეტაპზე წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტაცია სრულად. ჯამურად, **აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა კოოპერატივის 37 (ოცდაჩვიდმეტი) წევრის დაკმაყოფილებას.**

**მომხსენებელმა ასევე აღნიშნა ის ფაქტი,** რომ მოცემულ ეტაპზე ვერ განხორციელდა გადასაცემი ფართის **(6 750 კვ.მ-ის)** სრულად კოოპერატივის წევრებზე გადანაწილება, კერძოდ, კოოპერატივის წევრების გადასაცემი ფართი ჯამურად შეადგენს **3 129.84 კვ.მ-ს,** აქედან გამომდინარე, დარჩენილი **3 620.16 კვ.მ-ის** ფართის მიმღებ პირად განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, რაც შეეხება ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებულ პირთათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ოდენობას, იგი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, თითოეულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანების მდგომარეობის შესწავლისას

შედგენილი აქტების საფუძველზე, ხოლო მათთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის ფართობი განსაზღვრულია გადასაცემი საცხოვრებელი ფართების პროპორციულად.

**სერგო ზირკაძის განმარტებით,** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 იანვრის (მოსარჩელე - ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ფეიქარი-629") კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა საკუთრებაში გადაეცა ბმა „ფეიქარი-629"-ს, რომელიც წარმოადგენს N629 კოოპერატივის უფლებამონაცვლეს. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, ბმა „ფეიქარი-629"-ის საკუთრებაში დარეგისტრირდა, როგორც N629 კოოპერატივისთვის გამოყოფილი ქონება. ამასთან, საჯარო რეესტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის ამონაწერის თანახმად, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად, გარდა ხსენებული სასამართლოს გადაწყვეტილებისა, მითითებულია ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასთან შექმნილ საბინაო სამშენებლო კოოპერატივს, ორი 16 სართულიანი სახლის ასაშენებლად, ავჭალის გზატკეცილზე გამოეყო მიწის ნაკვეთი. რეგისტრაციის საფუძვლად, ასევე მითითებულია ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და აბრეშუმის საფეიქრო სამკერვალო საწარმოო გაერთიანებასთან შეიქმნა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი რიგითი ნომრით 629. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ბმა „ფეიქარი-629"-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია წარმოადგენს აღნიშნული კოოპერატივის წინაშე ნაკისრი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარულად მიჩნევის წინაპირობას.

შეჯამების სახით კი მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, წარმოდგენილი **განკარგულების დანართით გათვალისწინებულ პირებს - თამთა დანელიას და სოფიო დანელიას** კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე, საკუთრებაში აქვთ მიღებული უძრავი ქონება, მათ მიერ სააგენტოში წარდგენილ იქნა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლითაც, ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 11 350 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული წილის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მოგვიანებით, კომპანიის მიერ, ამავე მიწის ნაკვეთზე განკითარებულ სამშენებლო პროექტში შესაბამისი ფართის (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, **უარს ამბობენ ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3** (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან (შენობა-ნაგებობიდან) **მათ კუთვნილ წილზე და აღნიშნულ ქონებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი განკარგულების **პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში**

**მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი,** რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს **განკარგულება.**

ასევე, კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვით, საპრივატიზებო პირობებს განსაზღვრავს ქ. თბილისის მთავრობა და ითანხმებს თბილისის საკრებულო.**

ნინო ვარდოსანიძემ ასევე ისაუბრა განკარგულების პროექტის ტექნიკური გამართვის მიზანშეწონილობაზე.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებული იქნა მომხსენებლის მიერ.

**გადაწყვიტეს:**

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**20. სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 20-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, უცნობ გმირთა ქუჩა N57-ში მდებარე 20.71 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების ამირან ზირაქაშვილისთვის; 53.58 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების ლელა ზაალიშვილისთვის; 22.28 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების ლელა მიქაძისთვის; 18.27 კვ.მ და 6.38 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების ომარი დარსაძისთვის; 12.27 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების ომარ ჩხობაძისთვის; 18.01 კვ.მ და 5.46 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების მანუშაკ შახბაზოვასთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**მომხსენებლის განმარტებით,** დაინტერესებულმა პირებმა საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით მიმართეს ნაძალადევის რაიონის გამგეობას. ნაძალადევის რაიონის გამგეობამ საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით კი მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა ის გარემოებები, რომლებიც აღნიშნული ფართების მიღებისათვის სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა:**

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის VII სამმართველოს 2021 წლის 30 ივნისის წერილობითი ინფორმაციით, **დაინტერესებული პირები 20-30 წლის მანძილზე ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის საუბნო შემოწმების აქტითა და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილით.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირებისა და მათი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

**მომხსენებელმა დასკვნის სახით** აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გადაწყვიტეს:

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**21. სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 21-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში,ალექსანდრე მრევლიშვილის ქუჩა N7-ში, პირველ სართულზე მდებარე, 47.5 კვ.მ და 34.66 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ხათუნა ზარბაქაძისა და ეკა თვალიაშვილისთვის, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

